

ცნობა

„ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სარეკრეაციო ტერიტორიებსა და საზოგადოებრივ სივრცეებში განაშენიანების რეგულირების წესების განსაზღვრის შესახებ“ - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად, საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი აღნიშნავს, რომ საკრებულოში დაწყებულია საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სარეკრეაციო ტერიტორიებსა და საზოგადოებრივ სივრცეებში განაშენიანების რეგულირების წესების განსაზღვრის შესახებ“ - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად.

დადგენილების მიღების ვადაა არაუგვიანეს 2017 წლის 1 მაისი.

დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სარეკრეაციო ტერიტორიებსა და საზოგადოებრივ სივრცეებში განაშენიანების რეგულირების წესების განსაზღვრის შესახებ“ - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებები შეუძლიათ წარმოადგინონ 2017 წლის 22 აპრილამდე, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში, მისამართზე: ქ. ოზურგეთი, მ. კოსტავას ქ. N1. ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ადმინისტრაციული შენობის პირველი სართული. (პასუხისმგებელი პირი ზაზა შოშიტაიშვილი).

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება N__
2017 წლის --- მარტი
ქ. ოზურგეთი

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სარეკრეაციო ტერიტორიებსა და საზოგადოებრივ სივრცეებში განაშენიანების რეგულირების წესების განსაზღვრის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ პუნქტის, 24-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

და ა დ გ ი ნ ა :

მუხლი 1. დამტკიცდეს „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სარეკრეაციო ტერიტორიებსა და საზოგადოებრივ სივრცეებში განაშენიანების რეგულირების წესები“ დანართი 1-ის შესაბამისად.

მუხლი 2. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი

ნინო გოგუაძე

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სარეკრეაციო ტერიტორიებსა და საზოგადოებრივ სივრცეებში განაშენიანების რეგულირების წესები

წინამდებარე წესი აწესრიგებს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სარეკრეაციო ტერიტორიებსა და საზოგადოებრივი სივრცეების განაშენიანების რეგულირების წესს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 1. დადგენილების პრინციპები და მიზნები

1. დადგენილების პრინციპებია:

- ა) კანონიერება;
- ბ) საჯაროობა;
- გ) კერძო და საჯარო ინტერესების თანაბარზომიერება;
- დ) თანასწორობა;

2. დადგენილების მიზნებია:

- ა) ეკონომიკური და სხვა საქმიანობის გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების მინიმალიზებით, ტერიტორიებისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებით ახლანდელი და მომავალი თაობებისათვის ჯანსაღი საცხოვრებელი გარემოს უზრუნველყოფა;
- ბ) ეკოლოგიური წონასწორობის დაცვა და აღდგენა;
- გ) ქალაქის ტერიტორიაზე სარეკრეაციო ტერიტორიების შენარჩუნება და დაცვა
- დ) სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფა;

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

- ა) **საზოგადოებრივი სივრცე** – ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე ქუჩა, ტროტუარი, მოედანი, ხიდი, სკვერი, პარკი, ბაღი, წყლის ზედაპირი და მისი სანაპირო ზოლი, ბუნებრივი ან ხელოვნური ლანდშაფტი, მიწის ნაკვეთებს შორის გასასვლელი და სხვა მსგავსი ტიპის სივრცეები;
- ბ) **სარეკრეაციო ტერიტორია** - საზოგადო საგებლობის ტერიტორია, რომელიც მდებარეობს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, შენობა-ნაგებობებით ან მათ გარეშე, რომელიც მოიცავს გამწვანებულ ტერიტორიას (მაგ.: პარკი, ბაღი, ბულვარი, სკვერი, გაზონი), და რომელსაც აქვს შენობა-ნაგებობის გარეთ აქტიური ან პასიური რეკრეაციული დანიშნულება.

მუხლი 3. სარეკრეაციო ტერიტორიის განაშენიანების რეგულირების პირობები:

1. დაუშვებელია სარეკრეაციო ტერიტორიაზე ნებისმიერი სახის მშენებლობის წარმოება, გარდა სარეკრეაციო ტერიტორიის ფუნქციონირების უზრუნველმყოფი შემდეგი ობიექტებისა და შენობა-ნაგებობებისა:

- ა) დეკორატიული გაფორმების ობიექტი;

ბ) მცირე არქიტექტურული ფორმები: საპარკო პავილიონი, როტონდა, ფანჩატური, პერგოლა, ურნა, ტრელაჟი, საბავშვო მოედანი, შადრევანი, დეკორატიული აუზი, წყლის სასმელი შადრევანი, კასკადი, არხი, ღობე, ცხაური, ღია კიბე და პანდუსი, საყრდენი კედელი და სხვა;

გ) სკულპტურულ-არქიტექტურული მონუმენტი;

დ) სპორტული მოედანი;

ე) პირველადი სამედიცინო დახმარების პუნქტი;

ვ) სავაჭრო და საგამოფენო პავილიონი;

ზ) ატრაქციონი, (ღია ან დახურული ტიპის);

თ) საზოგადოებრივი ტუალეტი

ი) სამაყურებლო ობიექტები (ესტრადები, ამფითეატრები, საგამოფენო დარბაზები)

კ) საგაზეთო ჯიხური

ლ) ველოსიპედის პარკინგის სადგამი

მ) ტურისტული საინფორმაციო დაფა/რუკა

მუხლი 4. საზოგადოებრივი სივრცის განაშენიანების რეგულირების წესი.

1. ისეთ საზოგადოებრივ სივრცეში, რომელიც იმავდროულად არ წარმოადგენს სარეკრეაციო ტერიტორიას, მშენებლობის ნებართვის გაცემის პირობები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით;
2. დაუშვებელია მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული საზოგადოებრივი სივრცის გასხვისება საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 122-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული პირდაპირი განკარგვის წესით.

მუხლი 5. გარდამავალი დებულებები

1. ეს დადგენილება მოქმედებს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმისა და განაშენიანების რეგულირების გეგმების დამტკიცებამდე.